საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1461
03/05/2022

1461-21-2-202205031625

შპს „სათნოს“

მის: ქ. ფოთი, ლარნაკას ქუჩა N21

ელ.ფოსტა: info@satno.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5758 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე ნავთობპროდუქტების საცავების (ავზების ჯამური მოცულობა 6720 $მ^3$) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- განცხადება უნდა მოიცავდეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების შესახებ დეტალურ ინფორმაციას;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლება მდებარეობს 380 მეტრის დაშორებით, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავების განთავსების ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 500 მეტრით. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ სკრინინგის განცხადებაში უნდა დაზუსტდეს საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილი, სიტუაციურ გეგმაზე დატანით. ამასთანავე, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების ანალიზის (ზდკ-ის წილები) შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს უახლოეს მოსახლემდე არსებული დაშორების მანძილის გათვალისწინებით.
- სკრინინგის განცხადების „შესავალში“ მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნავთობდამჭერის მოწყობა, თუმცა, ამავე თავში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება გამწმენდი ნაგებობის განთავსება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მოსაწყობი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, სკრინინგის განცხადებას თან ერთვის რუსულ ენაზე

შესრულებული საპასპორტო მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ნავთობპროდუქტების საცავების (როგორც დიზელის, ასევე ბენზინის) ჯამური მოცულობები არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე წლის განმავლობაში ხორციელდება 135 000 $მ^3$ ბენზინისა და 90 000 $მ^3$ დიზელის რეალიზაცია, ხოლო ობიექტის საპროექტო წლიური ბრუნვა შეადგენს 360 000 $მ^3$-ს. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ უნდა იქნეს წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო